



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 49

2016 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

*2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ*

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე“ ქვეპუნქტისა და „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის №19 ბრძანების დანართი 1.2-ის (საერთაშორისო ოლიმპიადების ქვეპროგრამა) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ”2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები” ამ ბრძანების დანართი №1 -ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებისათვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

3. 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევასთან, მომზადებასა და მათ საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების მიზნით დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შემდეგი სახით:

ა) მათა ქაჯაია - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ბ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი დეპარტამენტის უფროსი

გ) მალხაზ ხოფერია - ფონდის საფინანსო ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

დ) ლანა შენგელია - ფონდის საფინანსო ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) ნინო მაჩურიშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

ვ) დავით ჩიჩუა - ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტი მთავარი სპეციალისტი ;

ზ) ცოტნე იაშვილი - ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტი სპეციალისტი;

თ) თათია მჟავანაძე- ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

ი) ნათია იაშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

კ) ვასილ ბარბაქაძე - ფონდის ტექნოლოგიური განვითარებისა და საინფორმაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ლ) მარიამ ვარდიშვილი - ფონდის პროგრამისტი;

მ) ნიკოლოზ ბაქარძე - ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოძიების სამსახური მთავარი სპეციალისტი;

ნ) ირაკლი გულუა - ფონდის საფინანსო ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი მთავარი სპეციალისტი;

ო) ნინო აბუსელიძე-ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

4. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (მ. ბუქიტაშვილს) წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის

5. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ეროვნული ოლიმპიადა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კონკრეტული კლასის/კლასების თითოეულ საგანში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ჩატარებული ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა;

2. საერთაშორისო ოლიმპიადა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის №19 ბრძანების 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელიც ტარდება კონკრეტულ საგანში/საგნებში სკოლის მოსწავლეებს შორის და რომელშიც საქართველო წამოდგენილია საქართველოს დელეგაციის სახით;

3. დელეგაცია – კონკრეტულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს წარმომადგენლობა, რომელშიც შედიან ნაკრები გუნდის წევრი - მოსწავლეები, ნაკრები გუნდის მწვრთნელები და ასისტენტები.

4. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები – ცენტრის მიერ ჩატარებული 2016 წლის ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტისა და ამ დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შერჩეული მოსწავლეები, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევ ტურებში მიიღებენ მონაწილეობას;

5. ნაკრები გუნდის წევრი – ამ დანართის შესაბამისად ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებისაგან შესარჩევი ტურების შედეგად გამოვლენილი მოსწავლე, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ოლიმპიადაში;

6. ნაკრები გუნდის რეზერვისტი (შემდგომში – რეზერვისტი) – პირი, რომელიც ნაკრები გუნდის წევრის ავადმყოფობის ან სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში მწვრთნელთა არგუმენტირებული გადაწყვეტილებით ჩაანაცვლებს ნაკრები გუნდის შესაბამის წევრს;

7. ლიდერი – მთავარი მწვრთნელი, რომელიც ხელმძღვანელობს ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების წვრთნას და ნაკრები გუნდის მონაწილეობას საერთაშორისო ოლიმპიადაში;

8. თანალიდერი – მწვრთნელი, რომელიც ლიდერთან ერთად წარმართავს საერთაშორისო ოლიმპიადისათვის ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების წვრთნას და ნაკრები გუნდის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის პროცესს;

9. ასისტენტი – პირი, რომელიც ეხმარება ლიდერსა და თანალიდერს ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების საერთაშორისო ოლიმპიადისათვის მომზადებასა და ნაკრები გუნდის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის პროცესში;

10. დამხმარე პედაგოგი – პირი, რომელიც ეხმარება ლიდერსა და თანალიდერს ნაკრები გუნდის წევრების/რეზერვისტების საერთაშორისო ოლიმპიადისათვის მომზადების პროცესში;

11. ამ მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული პირები წარმოადგენენ მწვრთნელთა გუნდს (შემდგომში – მწვრთნელები), რომლებიც წვრთნიან ნაკრები გუნდის წევრებს/რეზერვისტებს და პასუხისმგებელი არიან საქართველოს ფარგლებს გარეთ დელეგაციის წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემის მოგვარებაზე მათი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე, მონაწილეობენ შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრების გასწორებაში. აღნიშნული პირები შეირჩევა სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ.

12. ზედამხედველი – ფონდის მიერ შერჩეული პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს შესარჩევი ტურების მიმდინარეობას;

13. გამსწორებელი – ფონდის მიერ შერჩეული სპეციალისტი, რომელიც შეაფასებს შესარჩევ ტურებში ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს;

14. სააპლიკაციო განაცხადი – ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მიერ შესარჩევი ტურების წინ შესავსები სააპლიკაციო ფორმა დამტკიცებული ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად;

15. საპრეტენზიო კომისია – შესარჩევ ტურებში მიღებულ შედეგებთან და პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დისციპლინების მიხედვით შექმნილი დროებითი კომისიები;

16. საპრეტენზიო განაცხადი – განაცხადი, რომელსაც ავსებს ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასების ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევის ფონდში გასაჩივრებისას;

17. საბოლოო რეიტინგული სია – შესარჩევი ტურებისა და საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

დამტკიცებული ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების სია, რომელიც შედგენილია შესარჩევ ტურებში მოპოვებული ქულების კლებადობის მიხედვით;

## **მუხლი 2. საერთაშორისო ოლიმპიადები, რომლებშიც მონაწილეობს საქართველო**

1. საქართველო 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე დელეგაციებს წარადგენს შემდეგ ხუთ დისციპლინაში:

ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ფიზიკის 47-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPhO 2016 (შვეიცარია, ციურიხი, 10-18 ივლისი)

ბ) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება მათემატიკის 57-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2016 (ჩინეთი, ჰონგ-კონგი, 6-16 ივლისი)

გ) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ინფორმატიკის 28-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2016 (რუსეთის ფედერაცია, ყაზანი, 12-19 აგვისტო)

დ) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ბიოლოგიის 27-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2016 (ვიეტნამი, ჰანოი, 17-24 ივლისი)

ე) ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IChO 2016 (საქართველო, თბილისი, 22-28 ივლისი)

## **მუხლი 3. საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები**

1. ფონდი ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევ ტურებში მონაწილეობისათვის იწვევს მოსწავლეებს – ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საგნებში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები შეირჩევა 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგების საფუძველზე.

3. ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები დაკომპლექტდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგად.

## **მუხლი 4. საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურები**

1. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები გადიან შესარჩევ ტურებს.

2. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგნის გარდა შესარჩევ ტურებს ატარებს ფონდი, რომელიც იწვევს ზედამხედველებსა და გამსწორებლებს.

3. ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი ავსებს ამ ბრძანების №2 დანართით გათვალისწინებულ სააპლიკაციო ფორმას და გამოხატავს თანხმობას შესარჩევ ტურში მონაწილეობაზე ფონდის მიერ დამტკიცებული პირობების მიხედვით.

4. ნაკრების გუნდის წევრობის კანდიდატი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტი საგნის ნაკრების შესარჩევ ტურში. ერთზე მეტი საგნის ნაკრების წევრობის მოპოვების შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ოლიმპიადების ჩატარების თარიღები ემთხვევა ერთმანეთს, კანდიდატი ირჩევს მხოლოდ ერთი საგნის ნაკრების წევრობას, ხოლო მის ნაცვლად შესაბამისი საგნის ნაკრები გუნდის წევრობას მოიპოვებს რეიტინგული სიის მომდევნო მოსწავლე.

5. საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევ ტურებში დაგროვებული ქულების შესაბამისად ფონდი ადგენს მოსწავლეთა რეიტინგულ სიას, რომლის მიხედვით განისაზღვრება ნაკრები გუნდების წევრები და რეზერვისტი მოსწავლეები.

6. თითოეულ საგანში ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 5 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

ბ) მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 6 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

დ) ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 4 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

ე) ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა რაოდენობა შეადგენს 4 მოსწავლეს. რეიტინგული სიის მომდევნო 4 მოსწავლე განისაზღვრება, როგორც ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც შესარჩევი ტურების შედეგად ორი ან მეტი კანდიდატი დააგროვებს ქულების თანაბარ რაოდენობას ისე, რომ ნაკრები გუნდის წევრების დადგენილი რაოდენობის შერჩევა ვერ ხერხდება, ნაკრები გუნდის წევრი ან რეზერვისტი შეირჩევა 2016 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე მიღებული შედეგის მიხედვით ცენტრის მიერ მომზადებული და ფონდისათვის წარდგენილი საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატთა რანჟირებული სიის შესაბამისად. 2016 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფროსკლასელს.

7. ნაკრები გუნდის წევრები და რეზერვისტები გადიან სავალდებულო წვრთნას.

8. საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შესარჩევ ტურებში არ განისაზღვრება ასაკობრივი ჯგუფები. ყველა ასაკისა და კლასის მოსწავლე მონაწილეობს ერთად.

9. თითოეული საგნის თითოეულ შესარჩევ ტურში, ყველა ასაკისა და კლასის მოსწავლე მუშაობს კონკრეტული ტურისთვის დადგენილ ერთსა და იმავე ამოცანებზე, რომელთა შინაარსი და სირთულე ესადაგება შესაბამისი საგნის საერთაშორისო ოლიმპიადის მოთხოვნებს.

10. შესარჩევ წერით ტურებში მოსწავლეებს გადაეცემათ სპეციალური სამუშაო ფურცლები, რომელზეც მათ უნდა იმუშაონ. ფონდი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის გადასაცემი სპეციალური სამუშაო ფურცლების კოდირებასა და მათ სათანადო რეგისტრაციას.
11. მოსწავლეები ამოცანის ამოხსნის შემდეგ ფონდის წარმომადგენელს აბარებენ ნაშრომს. შესარჩევი ტურებიდან რაიმე სახის ფურცლების (მათ შორის ნაშრომის ასლი, ე.წ. სამუშაო ფურცლები და სხვა) გატანა დაუშვებელია.
12. დაგვიანებით გამოცხადებული მოსწავლე არ დაიშვება შესარჩევ ტურზე. შესარჩევ ტურზე მოსწავლის გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება მოსწავლეს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი შესარჩევი ტურის ჩატარება, მიუხედავად იმისა გამოუცხადებლობა/დაგვიანება საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.
13. შესარჩევ ტურებზე არ დაიშვება/მოიხსნება მოსწავლე, რომელიც არ წარმოადგენს ამ დანართის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, რაიმე ფორმით ხელს შეუშლის შესარჩევი ტურის ნორმალურად ჩატარებას, შეურაცხყოფას მიაყენებს შესარჩევ ტურში მონაწილე მოსწავლეებს ან სხვა დამსწრე პირებს ან/და დაარღვევს შესარჩევი ტურის ადმინისტრირებისათვის ფონდის მიერ დადგენილ წესებს.
14. შესარჩევ ტურზე მოსწავლის მიერ დაწერილი ნაშრომების ელექტრონული ასლები და მათი შეფასებები განთავსდება ფონდის ვებ-გვერდზე.

#### მუხლი 5. ფიზიკის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ოთხი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასის ფიზიკის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი 10 მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-10, მე-11 და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე).

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10 კლასის ფიზიკის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-5 ადგილი. თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი 5 მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-5, მე-6 და მე-7 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს სამივე).

2. თითოეულ ტურზე ფიზიკის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ სამიდან ხუთამდე ამოცანა, რომელთა ჯამური შეფასება შეადგენს 25 ქულას.

3. თითოეულ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 5 (ხუთი), ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

4. ფიზიკაში მოსწავლეთა რეიტინგული სია დადგინდება ოთხივე ტურში მიღებული, ასევე გასაჩივრების შემთხვევაში ამ დებულების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგად მიღებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

5. ფიზიკის ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რანჟირებული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-5 ადგილებს.

6. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრების გასწორებაში გუნდის მწვრთნელებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ფონდის მიერ შერჩეული გამსწორებელი.

### მუხლი 6. მათემატიკის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ოთხი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასის მათემატიკის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი;

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10 კლასის მათემატიკის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-8 ადგილი;

2. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა ამ მუხლის 1-ელ პუნქტში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის მითითებული რაოდენობის მოსწავლეები, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი. მაგალითად, მე-10 კლასისათვის თუ მე-5, მე-6 და მე-7 ადგილებს იყოფს სამი თანაბარი ქულების მქონე მოსწავლე, შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს სამივე.

3. ყოველ ტურზე მათემატიკის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ სამი ამოცანა (სულ 12 ამოცანა). თითოეული ამოცანა ფასდება შვიდქულიანი სისტემით.

4. თითოეულ შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 4 ასტრონომიული საათი და 30 წუთი (ოთხი საათი და ოცდაათი წუთი). დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

5. მათემატიკაში საბოლოო შედეგები დადგინდება ოთხივე ტურში მიღებული, ასევე გასაჩივრების შემთხვევაში ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგად მიღებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.



6. მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-6 ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

7. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატთა ნამუშევრების გასწორებაში გუნდის მწვრთნელებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ფონდის მიერ შერჩეული გამსწორებლები.

### მუხლი 7. ბიოლოგიის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურზე დაიშვებიან მოსწავლეები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ორი ასაკობრივი ჯგუფიდან. შესარჩევ ტურებში მონაწილეების მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ათი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-10, მე-11 და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე);

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10 კლასის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ათი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-10, მე-11 და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე).

2. პირველ ტურზე ბიოლოგიის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ 40 (ორმოცი) ტესტი. თითოეული ტესტი ფასდება ერთი ქულით. მეორე ტურზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 40 (ორმოცი) ტესტი, თითოეული ტესტი ასევე ფასდება ერთი ქულით.

3. როგორც პირველ ისე მეორე შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 2 (ორი) ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

4. ბიოლოგიაში ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდება პირველი და მეორე ტურებში, ასევე გასაჩივრების შემთხვევაში ამ დებულების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საპრეტენზიო განაცხადის განხილვის შედეგად მიღებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

5. ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-4

ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

6. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებენ ნაკრები გუნდების მწვრთნელები.

#### მუხლი 8. ქიმიის ნაკრები გუნდის შესარჩევი ტური

1. ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურზე დაიშვებიან მოსწავლეები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ორი ასაკობრივი ჯგუფიდან. შესარჩევ ტურებში მონაწილეების მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ათი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-10, მე-11 და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე);

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10 კლასის 2016 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-10 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ათი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე-10, მე-11 და მე-12 ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე).

2. პირველ ტურზე ქიმიის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ სამიდან ხუთამდე ამოცანა, რომელთა ჯამური შეფასება შეადგენს 25 ქულას. მეორე ტურზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა სამიდან ხუთამდე ამოცანა, რომელთა ჯამური შეფასება შეადგენს 25 ქულას.

3. როგორც პირველ ისე მეორე შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 5(ხუთი) ასტრონომიული საათი. დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0 (ნული).

4. ქიმიაში ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდება პირველი და მეორე ტურებში, ასევე გასაჩივრების შემთხვევაში ამ დებულების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული საპრეტენზიო განაცხადის განხილვის შედეგად მიღებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით.

5. ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ 1-დან მე-4 ადგილებს. რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი.

6. შესარჩევ ტურებში მონაწილე ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატთა ნამუშევრებს ასწორებენ ნაკრები გუნდების მწვრთნელები.

#### **მუხლი 9. საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურების ორგანიზება**

1. შესარჩევი ტურები ფიზიკაში გაიმართება ფონდში შემდეგი განრიგით:

- ა) პირველი ტური - 12 აპრილს
- ბ) მეორე ტური - 13 აპრილს,
- გ) მესამე ტური - 20 აპრილი
- დ) მეოთხე ტური - 21 აპრილი

2. შესარჩევი ტურები ბიოლოგიაში გაიმართება ფონდში შემდეგი განრიგით:

- ა) პირველი ტური - 23 აპრილს,
- ბ) მეორე ტური - 24 აპრილს.

3. შესარჩევი ტურები ქიმიაში გაიმართება ფონდში შემდეგი განრიგით:

- ა) პირველი ტური - 16 აპრილს,
- ბ) მეორე ტური - 17 აპრილს.

4. შესარჩევი ტურები მათემატიკაში გაიმართება ფონდში შემდეგი განრიგით:

- ა) პირველი ტური-17აპრილი
- ბ) მეორე ტური-18 აპრილი
- გ) მესამე ტური-23 აპრილი
- დ) მეოთხე ტური-24 აპრილი

5. ყველა საგანში შესარჩევი ტურებზე მოსწავლეთა რეგისტრაცია დაიწყება 9:00 საათზე ტურების ჩატარების ადგილზე.

6. ყველა საგანში პირველ შესარჩევ ტურში თითოეულმა მონაწილემ რეგისტრაციის დღეს თან უნდა იქონიოს დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი).

7. თითოეული მონაწილე ვალდებულია პირველი შესარჩევი ტურის დაწყების წინ შეავსოს ამ ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული სააპლიკაციო ფორმა.

8. ფონდი უზრუნველყოფს ყველა შესარჩევ ტურში მოსწავლეთა რეგისტრაციას.

9. შესარჩევი ტურების დროს ფონდი უზრუნველყოფს მონაწილეთა კვებასა და მათ მომარაგებას საჭირო საკანცელარიო ინვენტარით.

#### **მუხლი 10. საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურების შედეგების გასაჩივრება**

1. შესარჩევ ტურებზე მოსწავლის მიერ მიღებული შეფასება ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს ფონდში.

2. შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების განხილვის მიზნით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია და მტკიცდება საპრეტენზიო განაცხადის ფორმა.

3. მათემატიკაში პირველ ეტაპზე შეჯამდება პირველი და მეორე შესარჩევი ტურების შედეგები, რომლის მიხედვით შედგება მოსწავლეთა რეიტინგული სია. ამ საგნებში პირველი და მეორე ტურების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდი საპრეტენზიო განაცხადებს მიიღებს 21 აპრილის 15:00 საათამდე.

4. მათემატიკის საპრეტენზიო განაცხადის განხილვისა და პირველი და მეორე შესარჩევი ტურების შედეგების გათვალისწინებით, დგინდება მოსწავლეთა რეიტინგული სია, რომელიც გამოქვეყნდება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 22 აპრილის 15:00 საათამდე.

5. მათემატიკაში მესამე და მეოთხე ტურების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდი საპრეტენზიო განაცხადებს მიიღებს 28 აპრილის 15:00 საათამდე. საპრეტენზიო განაცხადების განხილვისა და მესამე და მეოთხე ტურებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით დგინდება მოსწავლეთა საბოლოო რეიტინგული სია ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების მითითებით და ქვეყნდება ფონდის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 4 მაისისა.

6. ფიზიკაში ოთხივე შესარჩევი ტურის შედეგების მიხედვით შედგება მოსწავლეთა რეიტინგული სია. ამ საგანში ოთხივე ტურის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდი საპრეტენზიო განაცხადებს მიიღებს 27 აპრილის 15:00 საათამდე. საპრეტენზიო განაცხადის განხილვისა და შესარჩევი ტურების შედეგების გათვალისწინებით, დგინდება მოსწავლეთა რეიტინგული სია, რომელიც გამოქვეყნდება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 28 აპრილისა.

7. ბიოლოგიაში პირველი და მეორე ტურების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდი საპრეტენზიო განაცხადებს მიიღებს 27 აპრილის 15:00 საათამდე. საპრეტენზიო განაცხადების განხილვისა და პირველ და მეორე ტურებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით დგინდება მოსწავლეთა საბოლოო რეიტინგული სია, ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების მითითებით, რომელიც ქვეყნდება ფონდის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 28 აპრილისა.

8. ქიმიაში პირველი და მეორე ტურების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდი საპრეტენზიო განაცხადებს მიიღებს 21 აპრილის 15:00 საათამდე. საპრეტენზიო განაცხადების განხილვისა და პირველ და მეორე ტურებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით დგინდება მოსწავლეთა საბოლოო რეიტინგული სია, ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების მითითებით, რომელიც ქვეყნდება ფონდის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 25 აპრილისა.

9. შესარჩევი ტურების შედეგებისა და საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებსა და სარეზერვო შემადგენლობას ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 11. საქართველოს ნაკრები გუნდების წვრთნა**

1. თითოეული ნაკრები გუნდის წევრებს საერთაშორისო ოლიმპიადისთვის წვრთნიან ნაკრები გუნდის მწვრთნელები (ლიდერი, თანალიდერი, ასისტენტი) და დამხმარე პედაგოგ(ებ)ი.

2. საქართველოს ნაკრები გუნდების დაკომპლექტების შემდეგ თითოეული ნაკრები გუნდის წევრები, (გარდა ბიოლოგიისა და ქიმიისა) რეზერვისტებთან ერთად, გაივლიან ერთთვიან მოსამზადებელ ეტაპს. მომზადების პროგრამაში შედის ხანმოკლე საწვრთნელი შეკრება ნაკრების წევრებისათვის (არაუმეტეს 10 დღისა). საქართველოს ნაკრები გუნდი ბიოლოგიაში, რეზერვისტებთან ერთად საერთაშორისო ოლიმპიადაზე დადგენილი წესის შესაბამისად გაივლის ორ კვირიან მომზადებას.

3. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, მათემატიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 30 მაისს და დაასრულებს 22 ივნისს, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 24-დან 30 ივნისის ჩათვლით.

4. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ფიზიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 30 მაისს და დაასრულებს 22 ივნისს, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 24 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

5. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ინფორმატიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 6 ივნისს და დაასრულებს 17 ივნისს, მომზადების მეორე ეტაპს დაიწყებს 20 ივლისს და დაასრულებს 30 ივლისს. მომდევნო ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 1 აგვისტოდან 7 აგვისტოს ჩათვლით.

6. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ბიოლოგიაში მოსამზადებელ ეტაპს დაიწყებს 20 ივნისს და დაასრულებს 3 ივლისს.

7. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ქიმიაში მოსამზადებელ ეტაპს დაიწყებს 8 ივლისს და დაასრულებს 21 ივლისს.

8. იმ შემთხვევაში თუ მათემატიკის, ინფორმატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის რეზერვისტებს შორის არიან მე-12 კლასელები, წვრთნას მათ ნაცვლად გაივლიან რეზერვისტებს შორის არ მოხვედრილი რეიტინგული სიის მომდევნო უმცროს კლასელები.

9. წვრთნის პერიოდში ნაკრების წევრებსა და რეზერვისტებს კვებით უზრუნველყოფს ფონდი.

**მუხლი მე-12. საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადაზე**

1. საქართველოს დელეგაციის მეთაურად ითვლება ლიდერი. ის თავისი კომპენტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია საქართველოს ფარგლებს გარეთ

დელეგაციის წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემის მოგვარებაზე. ნაკრები გუნდის თითოეული წევრი იცავს გუნდურ დისციპლინას და ემორჩილება მწვრთნელების - ლიდერის, თანალიდერის, ასისტენტის მითითებებს.

2. ნაკრები გუნდის წევრის შეცვლა რეზერვისტით შესაძლებელია ნაკრები გუნდის წევრის ავადმყოფობის ან სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზის შემთხვევაში, მწვრთნელთა არგუმენტირებული გადაწყვეტილებით და საერთაშორისო ოლიმპიადაზე ნაკრები გუნდის წევრთა მონაცემების წარდგენამდე.

3. ლიდერი ავადმყოფობისას ან სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში შეიძლება ჩაანაცვლოს თანალიდერმა, თანალიდერი - ასისტენტმა, ასისტენტი - დამხმარე პედაგოგმა.

4. საერთაშორისო ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ნაკრები გუნდის თითოეულ წევრს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად განემარტება საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის წესები და ფონდის მიერ დადგენილი სხვა პროცედურები

**მუხლი 13. საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის ადმინისტრირების ბიუჯეტი**

1. საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო ოლიმპიადების ქვეპროგრამის“ „სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განსახორციელებელი აქტივობების ბიუჯეტი“ შესაბამისად ფარავს ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდი: 32 02 04 02)

2. ფონდის მიერ დაიფარება შემდეგი ხარჯები:

ა) ხელფასების ხარჯები (ლიდერის, თანალიდერის, ასისტენტი, ზედამხედველი, გამსწორებელი, დამხმარე პედაგოგი);

ბ) შესარჩევი ტურები და ნაკრების მომზადების ხარჯები (მოსწავლეთა კვების ხარჯი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის ხარჯი, ნაკრების ფორმებისა და სუვენირების ხარჯი, ქალაქ გარეთ მოსამზადებელ წვრთნასთან დაკავშირებული ხარჯი, რეაქტივების ხარჯი, ლაბორატორიული და სამედიცინო ინვენტარის ხარჯი);

გ) საერთაშორისო ოლიმპიადაზე გამგზავრების ხარჯი (დამატებითი დღეების ფაქტობრივი ხარჯი, კერძოდ: საცხოვრებელი ფართის დაქირავების, შესაბამის ქვეყანაში ჩასვლის და წამოსვლის დღეების სადღეღამისო და დღიური ნორმის გათვალისწინებით), ვიზის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი, (საერთაშორისო დაზღვევის ხარჯი, პასპორტის ხარჯი) განისაზღვრება „დაქირავებულისათვის

გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად.

დ) საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის საწევრო გადასახადი

2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების  
წევრობის კანდიდატებისთვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის  
სააპლიკაციო განაცხადის ფორმა  
(ივსება კანდიდატის მიერ პირველი შესარჩევი ტურის დაწყებამდე  
თითოეული საგნის მიხედვით)

1	სახელი	
2	გვარი	
3	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
4	დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა)	
5	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	
6	ტელეფონი (ბინა, მობილური)	
7	ელექტრონული ფოსტა	
8	სკოლის სრული დასახელება	
9	საგანი	
10	საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის გამოცდილება	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა _____ (წელი)

გავეცანი საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურის ჩატარების პროცედურებს და მზად ვარ, დადგენილი პირობებით მონაწილეობა მივიღო შესარჩევ ტურებში.

\_\_\_\_\_  
 კანდიდატის ხელმოწერა  
 \_\_\_\_\_  
 თარიღი